



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #11

თებერვალი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 ელექტრონული სავაჭრო სისტემა

2 ელექტრონული მმართველობის კვლევა 2012

3 IP მისამართების მონიტორინგის სერვისი

3 სერვისი სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის

4 ქონების ვირტუალური ბირჟა ანდროიდ სისტემაზე

4 ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში

5 ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი კომისია

5 დამმობილების (TWINNING) პროექტის სამოქმედო გეგმა

მონაცემთა გაცვლის სააგენტო ელექტრონული სავაჭრო სისტემის კოორდინაციას განახორციელებს



9 თებერვალს, სასტუმროში „თბილისი მარიოტი“ ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შესახებ. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), ეი-პი-ემ ტერმინალი ფოთი/ფოთის საზღვაო პორტის კორპორაციამ, საქართველოს რკინიგზამ, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალმა, საქართველოს ტვირთის გადამზიდავთა ასოციაციამ, მერსკ საქართველომ, საქართველოს რკინიგზა ტრანსკონტეინერმა და ემ-ეს-სი ჯორჯიამ.

მემორანდუმის მიზანია შექმნას მხარეებს შორის ალიანსი ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. მემორანდუმის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან ერთობლივ სამოქმედო გეგმაზე, რომლის შედეგადაც მოხდება ერთიანი სავაჭრო ქსელის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბება. ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებას, მისი მუშაობის ტექნიკურ ზედამხედველობასა და კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო განახორციელებს. ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება საშუალებას მისცემს ვაჭრობაში ჩართულ მხარეებს ელექტრონულ რეჟიმში გაცვალონ ინფორმაცია, რაც შეამცირებს დანახარჯებსა და ტრანზაქციებზე დახარჯულ დროს. იგი საშუალებას მისცემს ვაჭრობის მონაწილეებს თავი აარიდონ დოკუმენტ-ბრუნვას და არა მხოლოდ ელექტრონულად მოახდინონ საჭირო ფორმების შევსება და ტვირთების განბაჟება, არამედ მიიღონ ინფორმაცია გადაზიდვების განრიგის, ტვირთის ადგილმდებარეობისა და ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული სისტემა კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საქართველოში ტვირთბრუნვის ზრდას (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.cra.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matse.gov.ge

საქართველოს საკანონმდებლო პალატი

www.eAuction.ge
ქართული აუქციონი

www.eauction.ge



www.rs.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

ელექტრონული სავაჭრო სისტემაში ჩართულ სუბიექტებს მოეხსნებათ საქმიანობასთან დაკავშირებული დღემდე არსებული შემაფერხებელი ბარიერები, გაუმარტივდებათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან ურთერთობის კოორდინაცია და ისარგებლებენ ე.წ. ერთი ფანჯრის მომსახურების პრინციპით. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდიხებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

ელექტრონული სავაჭრო სისტემა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, რომლის პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“ ინტენსიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესში.

გაეროს ელექტრონული მმართველობის 2012 წლის კვლევის მიხედვით საქართველო მსოფლიო რეიტინგში მნიშვნელოვნად დაწინაურდა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევის შედეგების მიხედვით ელექტრონული მმართველობის განვითარების მხრივ საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რაც მსოფლიო რეიტინგში საგრძნობი დაწინაურებით გამოიხატა.

გაეროს ელექტრონული მმართველობის მსოფლიო ინდექსის მიზანია გაზომოს კონკრეტული ქვეყნის წარმატება ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალურ მოწყობაში, პოლიტიკის განსაზღვრასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. 2012 წლის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობას არაურბანულ, დაშორებულ რეგიონებში. განსაკუთრებით აღინიშნა ისეთი მიმართულებები, როგორცაა მობლური სერვისები, ელექტრონული სერვისების კიოსკები, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამთავრობო და კერძო ინსტიტუტების მომსახურების ხელმისაწვდომობა და სხვა მსგავსი ინოვაციები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლევას სამი ძირითადი მიმართულებით აწარმოებს: ონლაინ სერვისების სპექტრი და ხარისხი, ტელესაკომუნიკაცია ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა და ადამიანური რესურსების ჩართულობის ხარისხი.

საქართველო ამა თუ იმ ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების საერთო დონის შეფასებისას 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 2012 წლის კვლევაში 30 საფეხურით დაწინაურდა და 190 ქვეყანას შორის 100-ე საფეხურიდან 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა. ამ მაჩვენებლით საქართველო უკვე არის რეგიონის ლიდერი და უსწრებს თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და სხვა.

განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის მხრივ. აღნიშნულ სემინტში 2012 წლის კვლევით საქართველო 59 საფეხურით დაწინაურდა და 101-ე პოზიციიდან 42-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

კვლევაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალებების (EID)-ის დანერგვას, აქ საქართველო აღნიშნულია კანადასთან, ფინეთთან, იაპონიასთან, ახალ ზელანდიასთან და და სინგაპურთან ერთად. საქართველო მოხსენიებულია იმ ქვეყნების სიაშიც, სადაც სახელმწიფო ორბიზაციების ვებ-გვერდები ინტეგრირებულია სოციალურ ქსელებთან (Facebook, Twitter).

IP მისამართების მონიტორინგის სერვისი



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი (CERT.gov.ge) როგორც საჯარო დაწესებულებებს, ისე კერძო ორგანიზაციებს ახალ მომსახურებას სთავაზობს. IP მისამართების მონიტორინგის სერვისი ითვალისწინებს საქართველოს კომპიუტერულ ქსელში დაინფიცირებული IP მისამართებისა და გატეხილი ვებ-გვერდების გამოვლენას.

დღეისათვის საქართველოს კომპიუტერულ ქსელში დაინფიცირებული IP მისამართების რაოდენობა საკმაოდ დიდია (დაახლოებით 25 000 IP მისამართი), რაც ქმნის რეალურ საფრთხეს ზიანი მიადგეს როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურების კომპიუტერულ და ქსელურ ინფრასტრუქტურას. ასეთი მისამართების

ორგანიზებული გამოვლენა, აღრიცხვა და კვალიფიციური პრევენციული ზომების გატარება დღემდე არ წარმოებდა.

მსოფლიოს მამუტაბით არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მსოფლიო გლობალური ქსელის საერთო მონიტორინგს დაინფიცირებული IP მისამართების გამოსავლენად. მიმდინარე წელს CERT.gov.ge დაიწყო აქტიური თანამშრომლობა და მიადწია შეთანხმებას მონაცემების ურთერთგაცვლაზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა TEAM CYMRU, SHADOWSERVER, ARBOR NETWORKS და ARAKIS. მომავალში ასევე იგეგმება თანამშრომლობა სხვადასხვა ევროპულ CERT-ბთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის ფარგლებში CERT.gov.ge-ს საშუალება ექვლება მუდმივ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია საქართველოს კომპიუტერულ ქსელში არსებული დაინფიცირებული IP მისამართების, დაინფიცირებული და გატეხილი ვებ-გვერდებისა და საქართველოს კიბერ სივრცეზე შეტევების შესახებ. ასევე შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს ასეთი მისამართების ბაზას და მათ მფლობელებს შესთავაზოს კომპლექსური მომსახურება მოსალოდნელი საფრთხეების გასაუვნებელყოფად. აღნიშნული ბაზის შექმნა მნიშვნელოვანია საქართველოს კიბერ სივრცის უსაფრთხოებისთვის, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში.

„IP მისამართების მონიტორინგის მეშვეობით ჩვენ საშუალება გვაქვს როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურებს შევთავაზოთ მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს გლობალურ ქსელში მათი დაინფიცირებული IP მისამართების გამოვლენას, აღრიცხვასა და შემდგომ მონიტორინგს. დაინფიცირებული IP მისამართი ნოყიერ ნიადაგს ქმნის კიბერ დამნაშავეებისთვის განახორციელონ ამა თუ იმ ორგანიზაციის კომპიუტერულ ქსელზე არასანქცირებული წვდომა და შესაბამისად დიდი ზიანიც მიყენონ მათ. ახალი მომსახურება მაქსიმალურად შეამცირებს ქვეყანაში ასეთი IP მისამართების რაოდენობას, რაც თავის მხრივ გაზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების დაცულობის დონეს.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.


მონაცემთა გაცვლის სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელშედეგურება მიმდინარე წლის თებერვალში გაფორმდა.

ხელშედეგურების თანახმად მონაცემთა გაცვლის სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს რამდენიმე ეტაპად დაყოფილ მომსახურებას გაუწევს, რომელშიც შედის უსაფრთხოების ინფორმაციული მართვის სისტემებისთვის (SIMS) -რეკომენდაციების შემუშავება, შედეგადობისა და სტაბილურობის ტესტების განხორციელება, სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი მიმართულებებისთვის ჩარჩო პოლიტიკის განსაზღვრა და სხვა.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის კომპლექსური მომსახურების გაწევაზე შევთანხმდით. ეს არის მომსახურება, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მისცემს სრულ მონაცემებს ინფორმაციული უსაფრთხოების მხრივ არსებული სიტუაციის შესახებ, სააგენტო ასევე მიიღებს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს და შეუქმნის სრულყოფილ სურათს უსაფრთხოების ინფორმაციული მართვის სისტემის (SIMS) სუსტ და ძლიერ მხარეებზე.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

საჯარო რეესტრის ვირტუალური ქონების ბირჟა ანდროიდ სმარტფონებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი



საჯარო რეესტრის პროექტი - ვირტუალური ქონების ბირჟა, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს, რომელსაც სურს გაყიდოს, გააქირავოს ან დააგირავოს ქონება, შესაძლებლობა აქვს სრულიად უფასოდ სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად გამოაქვეყნოს განცხადება, ვებ-გვერდზე www.eproperty.ge ან www.elisting.ge ანდროიდ სისტემის სმარტფონების მომხმარებლებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი.

ეს სიახლე კიდევ უფრო გაამარტივებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კომპიუტერის გარდა უკვე ანდროიდ სისტემაზე მომუშავე ტელეფონის მეშვეობით ნებისმიერი ადგილიდან

ისარგებლოს საჯარო რეესტრის ვირტუალური ქონების ბირჟით.

სპეციალური პროგრამის ჩამოწერა შესაძლებელია როგორც ანდროიდ მარკეტიდან, ისე ვებგვერდებიდან www.eproperty.ge ან www.elisting.ge.

იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა - ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვა იწყება



2 მარტს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროექტი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებმა წარადგინეს. პროექტის განხორციელების შედეგად მოსახლეობა, შეძლებს სოფლიდან გაუსვლელად მიიღოს თვითმმართველობის ყველა და ცენტრალური ხელისუფლების მრავალი მოთხოვნადი მომსაურება შემდეგ სფეროებში: სოციალური დახმარებები, მიწის რეგისტრაცია, პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღება, სასოფლო-სამეურნეო კონსულტაცია, შეძლებს კომუნალური გადასახადების

ელექტრონულად გადახდას, და სხვა.

სოფლის განვითარების ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება უფასო ინტერნეტი, ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს გადახდის აპარატით, კომპიუტერით და შეხვედრების ოთახით, სადაც მიიღებს კვალიფიციურ კონსულტაციას სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დახმარების პროგრამების, მიგრაციასა და სხვა საკითგებზე.

ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროექტის განხორციელება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2010 წლის ივნისში დაევალა, ხოლო პროექტის უშუალო განხორციელება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლის დეკემბრიდან დაიწყო.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია - მიზნები და პერსპექტივები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრასა და მის დანერგვას უზრუნველყოფს.

დღევანდელ დღეს, როდესაც საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებები ამა თუ იმ სახელმწიფოს გამართულად ფუნქციონირებაში განუზომლად დიდ როლს თამაშობენ, მნიშვნელოვანია ამ პროცესების წარმმართველი სამთავრობო კომისიის არსებობა, რომელსაც მრავალმხრივი ფუნქციები აქვს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროექტების განსახორციელებლად.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია სხვადასხვა ეტაპზე განიხილავს და

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დამშობილების (TWINNING) პროექტის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დამშობილების (Twinning) პროექტში პატნიორი ორგანიზაციის ავსტრო-გერმანული კონსორციუმის წარმომადგენლებს უმასპინძლა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ავსტრიის ფედერალური კანცელარიის ციფრული პლატფორმის წარმომადგენელმა კრისტიან რუჰმა და პროექტის რეზიდენტმა მრჩეველმა ჯონას ვერნერმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან დამშობილების პროექტის 2011-2013 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა შეათანხმეს.

პროექტი საერთო სახელწოდებით ელექტრონული საქართველო (E-Georgia) ელექტრონული მმართველობის განვითარების მხრივ სამ ძირითად ეტაპად იყოფა: 1) აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტირებული პრაქტიკის საუკეთესო მოდელების ქართულ

რეალობაში იმპლემენტაცია; 2) შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დანერგვა 3) ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მძლავრი ინსტიტუციონალური მექანიზმის - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT) მეშვეობით.

პროექტის დახმარებით მონაცემთა გაცვლის სააგენტო ასევე შექმნის სახელმწიფო უწყებათაშორის ქსელს, შეიმუშავებს თავსებად საკომუნიკაციო სისტემას, გაიზიარებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას და შექმნის მონაცემთა დაცვის სანდო მექანიზმს.

„პროექტის ძირითადი მიზანია იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის არსებითი დახმარების გაწევა, რათა ეფექტურად შევძლოთ ბოლო ხანებში ინიცირებული ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განხორციელება. მოხარული ვარ, რომ ევროკავშირი, სხვა პარტნიორებთან ერთად აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. გვქონდეს შესაძლებლობა, რომ გავიაზროთ ევროკავშირის ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა და მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მათთან ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენ ვაფასებთ ჩვენი პარტნიორებისა და დონორების მისწრაფებას დაეხმარონ საქართველოს ინფორმაციული საკომუნიკაციო სფეროს განვითარებაში.“ - ირაკლი გვენეტაძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 50
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.